MES 6 23 0001347821

11/10/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 28 სექტემბერს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Sep 28, 2023 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/87118450279?pwd=OVlvVThpbVRpT3V0MXZISFNsTzA0dz09
Meeting ID: 871 1845 0279
Passcode: 688969

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:
შპს რუსთავის ფოლადი
რამაზ გაგოშაშვილი - სასწავლო ცენტრის მთავარი სპეციალისტი
ა(ა)იპ კოლეჯი განთიადი
ირაკლი მირუაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ნათია გოგინაშვილი - იურისტი

ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრი
ნატალია პატარიძე - დირექტორი
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე
თამარ აფციაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების უფროსი
ეკატერინე ნარეშელაშვილი - სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსი
ანზორ აბშილავა - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
შალვა კელეპტრიშვილი - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
ირაკლი გუჯაბიძე - სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი
თამაზ შარაშენიძე - "ამფეთქებლის" პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი;

ალექსანდრე დოღაძე - კომპანია "ჯორჯიან მანგანეზის" ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების კოორდინატორი, "ამფეთქებლის" პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი.

შპს ესკო-ესი
გვანცა ხელაძე

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
დავით გუდაძე
იზაბელა ფერიშვილი
ედგარ მატარაძე
ხათუნა ჩომახიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ გიორგი გამყრელიძეს, რაზეც გიორგი გამყრელიძემ თანხმობა განაცხადა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:
1. შპს რუსთავის ფოლადის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ /01473/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის „კვების ობიექტების სერვისი და სერვირება“ /01750/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „საოჯახო სასტუმროს მომსახურება“ /01732/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ამფეთქებელი“ /01733/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ესკო-ესის „ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20-500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება“ /01722/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. შპს რუსთავის ფოლადის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ /01473/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა დავით გუდაძემ, მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2023 წლის 4 აგვისტოს №963885 ოქმის და „შპს რუსთავის ფოლადისთვის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ'' საბჭოს 2023 წლის 4 აგვისტოს №964541 გადაწყვეტილების საფუძველზე, ორგანიზაციამ 2023 წლის 24 აგვისტოს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული პროგრამა (განაცხადის ID 01473). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 30 აგვისტოს №1052877 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა დავით გუდაძემ შეისწავლეს წარმოდგენილი განახლებული პროგრამა.
დარგის ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა იმ ხარვეზების შესახებ, რომელიც 2023 წლის 4 აგვისტოს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოზე იქნა წარმოდგენილი და აღნიშნულ საბჭოზე კომპანიას განესაზღვრა საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.
მან დასძინა, რომ კომპანიამ განსაზღვრულ ვადაში გამოასწორა ხარვეზი, შესაბამისად, მეხუთე და მეექვსე სასწავლო კვირაში ამოღებულია მაღალი ძაბვის თემატიკა და მოყვანილია სტანდარტთან შესაბამისობაში. პროგრამა მესამე დონისაა, სახელწოდება და მიზანი არის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ დაბალი ძაბვის - 1000-V-მდე ფარგლებში და არ აღემატება დაბალ ძაბვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რუსთავის ფოლადისთვის „ელექტრული მონტაჟი და მომსახურება“ /01473/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს რუსთავის ფოლადს (ს/კ: 404411908) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ელექტრული მონტაჟი და მომსახურება /01473/ **(დანართი 1)**.

2. ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის „კვების ობიექტების სერვისი და სერვირება“ /01750/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 30 აგვისტოს №1052880 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა იზაბელა ფერიშვილმა შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „კვების ობიექტების სერვისი და სერვირება'' განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. განხორციელდა გასაუბრება კოლეჯის დირექტორთან და თანამშრომლებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტები, პროგრამის განხორციელებისათვის მიზანშეწონილობის დასაბუთება ზოგადი კვლევის დოკუმენტის სახით, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. გასაუბრებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა დაასაბუთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროგრამის „კვების ობიექტების სერვისი და სერვირება'' განხორციელება რეგიონულ ბაზარზე, კერძოდ, ქ. გორში. ასევე, ვიზიტი განხორციელდა პრაქტიკის განხორციელების ორივე ობიექტზე, პარტნიორ ორგანიზაციებში, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა პროგრამის განხორციელებაში ჩართვის სურვილი და მზაობა.
წარმოდგენილი პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 10, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. გორი, ბესიკის ქ. №2.
მაყვალა დარსანიამ განაცხადა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია, და მოკლედ განიხილა სამივე სტანდარტის ქვესტანდარტები.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა სამი რეკომენდაცია, კერძოდ, **ქვესტანდარტი 1.2** - რეკომენდებულია პროგრამის სახელწოდება „კვების ობიექტების სერვისი და სერვირება“ დაკორექტირდეს და პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: **„კვების ობიექტების და გასვლითი ღონისძიებების სერვისი“** ვინაიდან ქართული და ინგლისური სახელწოდება არ ემთხვევა ერთმანეთს, ასევე, პროგრამის თემატიკას. ცვლილება განხორციელდეს ქართულ და ინგლისურენოვან სახელწოდებაში, „კვების ობიექტების და გასვლითი ღონისძიებების სერვისი“, „Service Of Catering Facilities and Outdoor Event “.

ქვესტანდარტი 1.6 - რეკომენდებულია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და სწავლის შედეგების ჩამონათვალში დაემატოს მე-6 სწავლის შედეგი, ასევე, მე-5 სწავლის შედეგს, რომელიც ჩამონათვალში ასეთი ფორმულირებითაა წარმოდგენილი - პრობლემის აღმოჩენა/გაანალიზება/რეაგირება, მე-3 სასწავლო კვირას ჩასწორდეს შედეგის სახელწოდება და დაემატოს „რეაგირება“.

ქვესტანდარტი 2.1 - რეკომენდირებულია, რომ პროგრამას დაემატოს ერთი განმახორციელებელი პირი პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით, პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში.

მან განაცხადა, რომ პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, რაც შეეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში, კერძოდ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - მინიმალური სამუშაო გამოცდილება - 2 თვიდან ერთ წლამდე, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის მოცულობა 180 საათია, კვირეული დატვირთვა - 18 საათი, თეორიული სწავლება პირველი სამი კვირა სრულად კოლეჯის A გარემოში, ხოლო შემდეგი 7 კვირა პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე და მსმენელები სწავლებას დაასრულებენ პრაქტიკული დავალების შესრულებით. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები. ლექცია; დემონსტრირება; დისკუსია; პრაქტიკული მეცადინეობა; გონებრივი იერიში; ინსტრუქტაჟი. შესაბამისად სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის მეტი წილი ეთმობა. პროგრამის მე-4 კვირიდან გათვალისწინებულია რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს ერისონთან და შპს დარბაზთან, სადაც მსმენელები გაივლიან პრაქტიკულ სწავლებას და ადგილზე შეიძენენ სწავლების პროცესში გამოცდილებას.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსით, სწავლება განხორციელდება 3 მისამართზე: ქ. გორი, ბესიკის ქ. №2. (კოლეჯი - თეორიული სწავლება), ქ. გორი, გორიჯვრის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია (შპს ერისონი - C გარემო), ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი 7 კმ (შპს დარბაზი - C გარემო). პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური რესურსით როგორც დაწესებულებაში, ასევე პრაქტიკის ობიექტებზეც. დაწესებულებაში სიმულაციური სწავლებისთვის ადგილზე ინვენტარი არ არის, თუმცა პრაქტიკის ობიექტებზე დათვალიერებით დადგინდა, რომ გაცილებით მეტ რესურსებს ფლობენ, ვიდრე გათვალისწინებულია პროგრამის თანდართულ დოკუმენტებში.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება დოკუმენტით - შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესის და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის აღმოჩენის მექანიზმები; სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით.

აღნიშნული კოლეჯი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვით და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით. იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მისიას და როლს შესაბამის დარგის განვითარებაში.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დოკუმენტით - „პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (კოლეჯის დირექტორის ბრძანება №14. (05.03.2020 წ). დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ ხდება დაწესებულებაში პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, აპლიკანტთა შერჩევა, მსმენელის სტატუსის მოპოვება/შეწყვეტა.

დაწესებულებას აქვს ვებგვერდი http://gantiadi.ge/, სადაც განთავსებულია ინფორმაცია, კერძოდ მისია, ხედვა, ღირებულებები სხვადასხვა პროგრამები, მარეგულირებელი აქტები, ასევე ინფორმაცია ადმინისტრაციის შესახებ და ა.შ.

კოლეჯი საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ასევე იყენებს: მიმოწერის ელექტრონულ სისტემას ,,eflow'', ელექტრონულ ფოსტას, სატელეფონო კავშირს, საინფორმაციო დაფებს და სოციალურ ქსელებს, სატელევიზიო ეთერს, ადგილობრივ პრესას და რადიო საკომუნიკაციო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საშუალებებს. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებაზე და მისი შინაარსის სანდოობაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი კითხვარები: განმახორციელებელი პირების კითხვარი; მსმენელების კითხვარი; ასევე დაწესებულებაში ხარისხის გასაუმჯობესებლად დაგეგმილია დასწრება საკონტაქტო საათზე და შეფასების პროცესზე.

დაწესებულება უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, კერძოდ, რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში tvet.emis.ge ასახავს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების შესახებ ინფორმაციას. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებული იქნა ელექტრონული სისტემის შევსების სისრულე მოქმედი პროგრამების შემთხვევაში და გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას.

კოლეჯი სისტემატიურად ახდენს ანგარიშგებას/ინფორმაციის მიწოდებას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სხვა; შესაბამისად, აქვს ამ მხრივ გამოცდილება და ამ პროგრამის განხორციელების შემთხვევაშიც ანალოგიურად მოახდენს საჭიროების შემთხვევაში ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. პროფესიული მომზადების და გადამზადების კურსდამთავრებულებზე კოლეჯი გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატებს, რაც მომზადებულია შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად და აღრიცხულია სერტიფიკატების სარეგისტრაციო ჟურნალში და ელექტრონულ სისტემაში.

პრეზენტაციის ბოლოს მაყვალა დარსანიამ წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სახელწოდებასთან დაკავშირებით ჰქონდა რეკომენდაცია, რაც ასახულია დასკვნაში, კერძოდ, მიზანშეწონილად მიაჩნია, პროგრამას ნაცვლად **„კვების ობიექტების სერვისი და სერვირებისა“** ეწოდოს **„კვების ობიექტების და გასვლითი ღონისძიებების სერვისი“** და დასძინა, რომ ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტების

დათვალიერება, და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებთან ინტერვიუირება. მან დასძინა, რომ ორივე პრაქტიკის ობიექტზე გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მათი მზაობა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის „კვების ობიექტების და გასვლითი ღონისძიებების სერვისი“ /01750/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ განთიადს (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - კვების ობიექტების და გასვლითი ღონისძიებების სერვისი /01750/ **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „საოჯახო სასტუმროს მომსახურება“ /01732/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
მაია აბდალაძემ განაცხდა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 17 აგვისტოს №1003966 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა იზაბელა ფერიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2023 წლის 24 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრში ქ. ჭიათურაში, მისამართზე ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1, ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „საოჯახო სასტუმროს მომსახურება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მაია აბდალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა მომზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე; პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ჭიათურა, ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია რამდენიმე ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.2 - რეკომენდებულია, პროგრამის სახელწოდება **„საოჯახო სასტუმროს მომსახურება“** შეიცვალოს შემდეგი დასახელებით **„მცირე და საშუალო სასტუმროების მართვა-ადმინისტრირება.**“

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელთა შეფასების სისტემა დაიხვეწოს, ჩაემატოს მსმენელის მიერ გასაჩივრების წესი.

ქვესტანდარტი 3.4 - რეკომენდებულია პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის შემუშავდეს მსმენელთა, პროგრამის განმახორციელებელ პირთა და პროგრამის საბოლოო შეფასების კითხვარი.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთებისთვის ბაზრის კვლევის დოკუმენტი ტურიზმის სფეროში. კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისთვის!” ფარგლებში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა შრომის ბაზრის საჭიროებებისა და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირება, ასევე პროექტის სამიზნე ჯგუფებისათვის საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების იდენტიფიცირება, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ დასაქმებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას. კვლევა განხორციელდა 2022 წლის ოქტომბრის ჩათვლით ჭიათურაში. კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ ტურიზმის სექტორი საჭიროებს სრულ გადამზადებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას.

ჭიათურა, თავისი არსებობის მანძილზე სამრეწველო, მაღაროების ქალაქია. ადგილობრივი მოსახლეობისთვის დღემდე მაღარო დასაქმების ერთადერთი ადგილია. საჭიროა ქალაქში ახალი დასაქმების შესაძლებლობის შექმნა და სტრატეგიული ფუნქციის განსაზღვრა. ამისათვის საჭიროა როგორც ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ასევე ადამიანური კაპიტალის შექმნა. ქალაქში და მის შემოგარენში უკვე არსებობს რამდენიმე საოჯახო სასტუმრო, სადაც სერვისის გაუმჯობესების პრობლემა მწვავედ დგას და მეორეს მხრივ, არ არსებობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი, რომელიც ამ სფეროს გააუმჯობესებს და განავითარებს. სწორედ ამიტომ, ცენტრმა გადაწყვიტა შეექმნათ ეს მომზადების პროგრამა, რომლის ფარგლებში მსმენელები მიიღებენ იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც აუცილებელია მცირე ტიპის სასტუმროს მომსახურების სფეროში.

აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ადგილობრივებს, შექმნან ისეთი საოჯახო სასტუმროები, რომლებიც სათანადო მასპინძლობას გაუწევს სტუმარს, ამასთან ქალაქში გაჩნდება მეტი სამუშაო ადგილი, მეტი დასაქმებული, ეს კი ხელს შეუწყობს ქალაქის სტრუქტურის ტურისტულ წყობას.

მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობებია საბაზო განათლება; ასაკი - 18 წელი; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. ცენტრის მიერ მოთხოვნილია 15 მსმენელი. თეორიული სწავლება განხორციელდება ა(ა)იპ “ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრში”, სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო ფართში, ხოლო პროგრამის პრაქტიკულ ნაწილს გაივლიან ქ. ქუთაისში, პარტნიორ დაწესებულებებთან, ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის დაფინანსებით. პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა.

სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, ცენტრს ჰყავს პარტნიორი შპს ,,ბუტიკი ქუთაისი“, რომელთანაც გაფორმებული აქვს

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. დაწესებულებამ მოიძია მეორე პარტნიორი სასტუმრო ,,აბესალომი“ ქუთაისში და ვიზიტის დროს წარმოადგინა მემორანდუმი აღნიშნულ სასტუმროსთან.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური და სასწავლო რესურსით.
მსმენელები შეისწავლიან ოთხ მიმართულებას: სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების, სტუმრის მიღება-განთავსების პროცედურების, დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფის საფუძვლების განსაზღვრას, კვებითი მომსახურების და მენიუს შემუშავებას.
პრაქტიკული კურსის დროს გათვალისწინებული იქნება პროგრამის მსმენელთა უსაფრთხოება და უსაფრთხო სამუშაო გარემოსუზრუნველყოფა. პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მისაღწევად, პრაქტიკის ობიექტზე დაშვებული იქნება ერთდროულად, მაქსიმუმ 15 მსმენელი პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ერთად. ასევე სასტუმროში გამოყოფილი იქნება პირი, რომელიც სასტუმროში პრაქტიკის მიმდინარეობის დროს მსმენელებზე აიღებს პასუხისმგებლობას, მსმენელების ტრანსპორტირებას, კვებას, და საცხოვრებელს უზრუნველყოფს „ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრი“. სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით, ცენტრის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.
ასევე, შენობა-ნაგებობებში განთავსებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ალტერნატიული გასასვლელის მანიშნებლები. ობიექტის დაცვის მიზნით კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის ორგანიზაციასთან, ასევე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ფიზიკურ პირებთან, რომელთა მოვალეობაა ობიექტზე წესრიგის დაცვა, კომპეტენციის ფარგლებში შრომითი და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შრომის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, შენობა-ნაგებობებში განთავსებულია პირველადი დახმარების საშუალებები.
რაც შეეხება 3.1, 3.2, და 3.4 შეფასდა, რადგანაც დაწესებულებამ წარმოადგინა მსმენელთა ჩარიცხვის წესი და ხარისხის მართვის მექანიზმები. მესამე სტანდარტის 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არ არსებობის გამო.
პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, იზიარებდა თუ არა დაწესებულება დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდნენ დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის „მცირე და საშუალო სასტუმროების მართვა-ადმინისტრირება“ /01732/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციურ ცენტრს (ს/კ: 412759242) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მცირე და საშუალო სასტუმროების მართვა-ადმინისტრირება /01732/ **(დანართი 3).**

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ამფეთქებელი“ /01733/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 21 აგვისტოს
№1015474 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ედგარ მატარაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2023 წლის 12 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნიკური გადამზადების ცენტრში, (ყოფილი სამეცნიერო სასწავლო და საწარმოო ცენტრი ,,ანალიზ ხელსაწყო“) ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №36-ში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ამფეთქებელი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება ცენტრის ხელმძღვანელთან, პროგრამა ,,ამფეთქებლის“ კოორდინატორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ასევე გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი. განხორციელდა ვიზიტი პარტნიორ კომპანიასთან და მის სასაწყობო ლოკაციაზე (სს ,,საქფეთქმრეწვში“ ქ. თბილისში), ასევე დისტანციურად მოხდა მეორე პარტნიორთან (,,ჯორჯიან მანგანეზი“, ჭიათურა) გასაუბრება პრაქტიკული კომპონენტის რესურსების შემოწმების მიზნით.
ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულება 11 პარტნიორიდან თბილისის გარდა, 5 რეგიონში (ბოლნისი, ჭიათურა, ტყიბული, ხელვაჩაური, დედოფლისწყარო) თეორიული კურსის განხორციელებას გეგმავს დისტანციურად. დაწესებულებამ ვიზიტის დღესვე შეავსო ფორმა პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის დისტანციურად ან ჰიბრიდული სწავლებით განხორციელების
შესაძლებლობის თაობაზე.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მაია აბდალაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება;

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე; პროგრამის ხანგრძლივობა - 13 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №36.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება, სადაც გაწერილია, რომ ქვეყანაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის სამთო-მომპოვებელი, ხიდებისა და გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საამშენებლო და სხვა საწარმოები თავიანთ საქმიანობაში ფართოდ იყენებენ აფეთქებით სამუშაოებს. აღნიშნულ საწარმოებში გამოვლენილია პროფესიული კადრების მწვავე დეფიციტი, რომლებსაც აქვთ ამფეთქებლის კვალიფიკაცია და აფეთქებითი სამუშაოების ჩატარების უფლება.
2019 წელს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მოიპოვა წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება 3 წლის ვადით. ამ პერიოდში მომზადდა 115 სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ სხვადასხვა ორგანიზაციებში. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ბაზარზე ჯერ კიდევ მწვავედ დგას სერტიფიცირებული კადრების უკმარისობა. ამჟამად, მეორედ შემოიტანეს აღნიშნული პროგრამა, დაწესებულებას ჰყავს 11 პარტნიორი ორგანიზაცია, რომლებიც მზად არიან ერთობლივად განახორციელონ აღნიშნული პროგრამა.
პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ამფეთქებელი“ სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია - საბაზო განათლება; ასაკი - 18 წელი; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კ ო მ პ ე ტ ე ნ ც ი ი თ .
პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ამფეთქებელი“ ითვალისწინებს სწავლის 16 შედეგის მიღწევას.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 13 კვირას, რაც ჯამში 455 საათია. 315 საათი ეთმობა თეორიულ მეცადინეობას და 140 საათი - საწარმოო პრაქტიკას. ბოლო 4 კვირა, რომელიც ტარდება პარტნიორ ორგანიზაციებში, ეთმობა სწავლის 4 შედეგის მიღწევას. თითოეულ ორგანიზაციაში პრაქტიკაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებებით.
წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა შემუშავებულია აფეთქების ტექნოლოგიების დარგში თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით. მასში სრულად არის ასახული ქვეყანაში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა და ტექნიკური რეგლამენტი აფეთქებითი სამუშაოების წარმოებისას.
პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აფეთქების სამუშაოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანებს. პროგრამა ისეთნაირად არის შედგენილი, რომ მსმენელები საფუძვლიანად შეისწავლიან ამფეთქებლის საქმიანობას და ტექნოლოგიური პროცესების შესრულების წესებს, რომელიც გამორიცხავს შემთხვევითი აფეთქების საფრთხეს.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე არსებობს მსმენელთა ორი სახის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს ჩატარდა გასაუბრება პროგრამის სამ ძირითად განმახორციელებელთან.

დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს 8 სასწავლო რესურსი, ნაწილი სახელმძღვანელო აქვთ გაციფრულებული. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით, სადაც აღნიშნულია, რომქ. თბილისში კახეთის გზატკეცილი №36-ში მდებარე ცენტრის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამებასაქართველოს მთავრობის №370-2 დადგენილებას, ,,სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნებს.

დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დაიწყო 2011 წლიდან. უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მეტწილად ტექნიკურ დარგებზეა აქცენტირებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს 26 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც ჩართულია 400-ზე მეტი სტუდენტი. უნივერსიტეტს აქვს ორი ფილიალი ტყიბულში და დიდ ჯიხაიშში.

დაწესებულებას აქვს 2019 წლის 3 ივნისის №6 ბრძანებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ,,ამფეთქებლის“ პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევის დებულება, რომელიც შედგენილია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანების „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე. დებულება არეგულირებს ,,ამფეთქებლის“ მოკლევადიან პროგრამაზე აპლიკანტების ჩარიცხვის წესს. უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს დახურული წესით. დახურული წესით აპლიკანტის რეგისტრაციისას ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის და იმ პარტნიორი ორგანიზაციებისთვის, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მოკლევადიანი პროგრამის ერთობლივად განხორციელების შესახებ. დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში აპლიკანტის მოკლევადიან პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაცია/ორგანიზაციები. დახურული წესით რეგისტრაციის შემთხვევაში პარტნიორი ორგანიზაცია/ორგანიზაციები) უნივერსიტეტს აწვდის იმ აპლიკანტის მონაცემებს, რომელთა მომზადება უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული მოკლევადიანი პროგრამით.

დაწესებულება გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ ინფორმირებას ახდენს როგორც ვებგვერდის, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით. საინფორმაციო მასალას ამზადებს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი (სასწავლო-პროცესების მართვის სამსახური).

დაწესებულებას 2023 წლის 20 მარტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული აქვს ,,სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის შემუშავების მიზანია დაინტერესებული მხარეებისათვის რელევანტური ინფორმაციის არსებობა ხარისხის უზრუნველყოფის

პროცედურებსა და მექანიზმებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სწავლების მაღალი ხარისხი და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპების ხელშეწყობა. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოწმდება: პროგრამები და მათი ცალკეული კომპონენტები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი; სასწავლო გარემო (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა); მსმენელთა მიღწევები და მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში. შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესისა და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამის მიმდინარეობისას; პროგრამის დასრულების შემდეგ.
დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას. პროგრამა ,,ამფეთქებლის" კოორდინატორი არის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში tvet.emis.ge ასახავს ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების შესახებ.
გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
აღსანიშნავია, რომ „ამფეთქებლის" პროფესიული მომზადების პროგრამაზე 3 წლის განმავლობაში მომზადება გაიარა 120-მა მსმენელმა, სერტიფიკატი აიღო 115-მა. 115-დან დასაქმებულია ყველა, 114 საქართველოში და 1 საზღვარგარეთ.
პრეზენტაციის ბოლოს მაია აბდალაძემ წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
პრეზენტაციის შემდეგ სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს შალვა კელაპტრიშვილს, რომელმიც შეეხო ვიზიტის დროს გაცემულ რეკომენდაციას სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და დასძინა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ უკვე ჰქონდათ გამოცდილება აღნიშნული პროგრამის განხორციელების, საჭიროდ ჩათვალეს სწავლის შედეგები დაეტოვებინათ ასეთი სახით, რათა ყოველი სწავლის შედეგის დასრულების შემდეგ ჩაეტარებინათ გამოკითხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ამფეთქებელი" /01733/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ამფეთქებელი /01733/ **(დანართი 4).**

5. შპს ესკო-ესის „ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20-500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება“ /01722/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სოფიკო ბექირაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის №1066547 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა ხათუნა ჩომახიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, სოფიკო ბექირაძემ 2023 წლის 8 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ესკო-ეს-ში დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბა, "ეკლესიასთან", სადაც განთავსებულია პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებელი სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის „ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20- 500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება ცენტრის დირექტორთან, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
ცენტრის წარმომადგენელმა მოკლედ მიმოიხილა აღნიშნული პროგრამის სამივე სტანდარტის ქვესტანდარტები, და დასძინა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
წარმოდგენილი პროგრამის სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 14, სწავლების ენა ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბა, „ეკლესიასთან“.
მან განაცხადა, რომ ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი, რეკომენდაციები არ გაცემულა.
ქვესტანდარტი 1.10 - აღნიშნული ქვესტანდარტი დარღვეულია, იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი მსმენელის შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
იურიდიული პირის განმარტებით, სწავლების პროცესში ხორციელდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა მსმენელთა შეფასების წესი, რომლის მიხედვითაც, წარმოდგენილ დოკუმენტში ასევე, მითითებული იყო, რომ შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%.

ყოველივე ზემოთქმულის ანალიზით, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არ იყო ორიენტირებული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელის შეფასებაზე.
წარმოდგენილი კრიტერიუმები უფრო მეტად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტის შეფასების კრიტერიუმებსა და სქემებს აღწერდა.
ამდენად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 2021 წლის 13 ივლისს საქართველოს მთავრობის მიღებული №354 დადგენილება შენობებს, შენობების ნაწილებს ან შენობების ელემენტებს უწესებს მინიმალურ მოთხოვნებს, რაც აჩენს დამატებით მოთხოვნებს შენობების საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების მონტაჟის მიმართ. ეს ფაქტი ზრდის მოთხოვნებს შრომის ბაზარზე და მძაფრად აყენებს საკითხს „ჰიბრიდული ენერგოგენერაციის სადგურების“ მემონტაჟეების და მოვლა- პატრონობის სპეციალისტების საჭიროებებზე. ჰიბრიდულ სადგურების მემონტაჟეებზე მოთხოვნა გაჩნდება განახლებადი ენერგეტიკის დარგების განვითარების პარალელურად, რამდენადაც აუცილებელი გახდება ცალკეული ენერგოგენერაციის საშუალებების (მზე, ქარი, ბიომასა, დედამიწის სითბო, ზღვის ენერგია, თბური ტუმბოები, ენერგიის აკუმულირება შენახვა და სხვა) გაერთიანება ერთ სისტემებში და მათი დაკავშირება. მარტო შენობების სექტორის მზარდი განვითარება (შენობათა საერთო ფართი მოცულობა 250 მილიონი კვ. მ. ზრდის სიჩქარე 2-2,5 მილიონი კვ. მ./წელიწადში) უყენებს განსაკუთრებულად მაღალ მოთხოვნებს ბაზარზე შრომის სპეციალისტების მიწოდებას ამ დარგში. ამ საჭიროებების დაკმაყოფილება შესაძლებელია პროფესიული გადამზადების პროგრამით, რომელთა კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია, ცოდნა და კომპეტენცია აუცილებელია ქვეყანაში გაჩენილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.
მან აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ელექტრიკოს/მექანიკოსის ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება, შენობის მომსახურების სხვა საინჟინრო სისტემების მემონტაჟედ ან ელექტრიკოსად ან მექანიკოსად მუშაობის არანაკლებ ერთ წლიანი გამოცდილება. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.
პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 14 კვირას და კვირაში 20 საათს, სწავლება განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში - შპს ესკო-ეს-ში. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება.
სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, დემონსტრირება, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა, ინსტრუქტაჟი. პროგრამაში ჩართულია 6 სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის მეტი წილი ეთმობა.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსით, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე იურიდიულ პირს აქვს 10 მსმენელის მომზადების რესურსი. პრაქტიკის ობიექტზე, „მწვანე ინჟინერიის ცენტრში“ შესაძლებელია სრულად სწავლის შედეგების მიღწევა. აღნიშნული ცენტრი იკვებება ჰიბრიდული ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ენერგიით. ასევე, სხვადასხვა ქსელის პროვაიდერისგან მიღებული ენერგია მიეწოდება შენობას და გამოიყენება საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის. არსებულ ტერიტორიაზე შენდება სასწავლო ცენტრი და საწარმო, სადაც

მსმენელები სრულად შეძლებენ აითვისონ ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული სისტემების ტექნიკური მახასიათებლები, შეძლონ სისტემის მონტაჟი და ექსპლუატაცია შრომის უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება კომპანიის მიერ წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით.
კომპანიას კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის. ისინი ორიენტირებულნი არიან ხარისხზე და ზუსტად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად აქვთ შემუშავებული პროგრამა.
აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, აპლიკანტებთან გასაუბრება ხორციელდება მოტივაციური ინტერვიუს მეშვეობით. მაქსიმალური საკონკურსო ქულაა - 18, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 6 ქულა. საკონკურსო კომისია და კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვრება კომპანიის დირექტორის ბრძანებით. გასაუბრება ტარდება კომპანიაში. კომპანია, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით.
ვინაიდან კომპანიას არა აქვს გამოცდილება, მესამე სტანდარტის 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტი არ შეფასდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესკო-ესის „ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20-500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება“ /01722/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ესკო-ესს (ს/კ: 200270973) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული

დღის ვადა პროფესიული გადამზადების პროგრამის - ავტომატურად მართვადი ჰიბრიდული (20-500კვტ./სთ ჯამური სიმძლავრე) ენერგოსისტემების მონტაჟი და მომსახურება /01722/ - ხარვეზის გამოსასწორებლად

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:58 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01473	ელექტრული მონტაჟი და მომსახურება	პროფესიული მომზადება	მესამე	9	ქართული	10	ქ. რუსთავი, ი. გაგარინის ქ. №12

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01750	კვების ობიექტების და გასვლითი ღონისძიებების სერვისი	პროფესიული გადამზადება	მესამე	10	ქართული	30	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01732	მცირე და საშუალო სასტუმროების მართვა-ადმინისტრირება	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	15	ქ. ჭიათურა, ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01733	ამფეთქებელი	პროფესიული მომზადება	მესამე	13	ქართული	15	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №36 (სტუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი)